ივანე წერეთელი •

როგორ ისწავლება წარსული: 2008 წლის აგვისტოს ომი სკოლის სახელმძღვანელოებში

აბსტრაქტი

წარსულით მანიპულირება და ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მიღებული ფორმაა. ხშირ შემთხვევაში, შიდა-პოლიტიკური და არჩევნებთან დაკავშირებული, რეიტინგზე ორიენტირებული პარტიული დაპირისპირების მთავარი ხაზი უახლესი წარსულის გამოყენებაზე გადის. ხოლო წარსულის ინტერპრეტაციები აყალიბებს საზოგადოების განწყობებს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი პოლიტიკური განხილვის მნიშვნელოვანი თემაა. რუსეთი საქართველოზე თავდასხმის ლეგიტიმაციისთვის ომის დაწყების პასუხისმგებლობას საქართველოს აკისრებს. სკოლის სახელმძღვანელო მეხსიერების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. მას კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირებაზე უდიდესი გავლენა აქვს, როგორც მასტერ-ნარატივის მნიშვნელოვან ამსახველს. სკოლის სახელმძღვანელოები განათლების სამინისტროს შესაბამის ინსტანციებს გადის და გრიფის მინიჭების შემთხვევაში აღმოჩნდება მოსწავლეთა მერხებზე. ამდენად, სასკოლო სახელმძღვანელო, საყოველთაო განათლების პირობებში, ქვეყნის ყველა მოქალაქის ხელში ხვდება. ნაშრომის მიზანია ვაჩვენოთ, როგორ ისწავლება 2008 წლის აგივსტოს ომი სკოლებში. რა ფაქტებზე, მოვლენებზე და დეტალებზეა ყურადღება გამახვილებული, რა მიზანს ემსახურება თხრობა, როგორ არის შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე წარმოდგენლი.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-საქართველოს ომი, ნარატივი, კოლექტიური მეხსიერება, ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია

• ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

წარსულის ხედვას ყველა შემთხვევაში აწმყო განსაზღვრავს. წარსულში მომხდარი ფაქტები და მოვლენები თანამედროვე რეალობის შესაბამისად გადმოიცემა და აიხსნება. ნარატივები, რომლებიც ამ ხედვებს გვთავაზობს, დროის/დროითი ტექსტებია, რადგან კონკრეტული დროითი კონტექსტი და კონიუნქტურა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა, როგორ და რატომ უნდა იქნას წარსულიდან დამახსოვრებული და ინტერპრეტირებული. წარსულის შესახებ თხრობა, იმ პერიოდზე უფრო მეტს გვიყვება, რა პერიოდშიც იქმენბა ნარატივი, ვიდრე თავისთავად წარსულზე.

მეხსიერების პოლიტიკის წარმართვაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის პოლიტიკური ელიტების, მათი მხარდამჭერებისა და ოპონენტთა ძალისხმევას, მნიშვნელობა მიანიჭონ წარსულს და დაამკვიდრონ ეს მნიშვნელობა საზოგადოებაში. არსებით როლს კი მმართველი პოლიტიკური ძალა თამაშობს. წარსულზე, მათ შორის ომის მტკივნეულ გამოცდილებაზე აპელირება შიდა პარტიულ-პოლიტიკური დაპირისპირებასა და პოლიტიკურ რეიტინგს უკავშირდება. პოლიტიკური დებატები საჯარო დისკურსში აქტიურად მიმდინარეობს. რაც კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია. წარსულით მანიპულირება და ისტორიის ინსტრუმენტალიაზაცია თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მიღებული ფორმაა. ხშირ შემთხვევაში, შიდა-პოლიტიკური და არჩევნებთან დაკავშირებული, რეიტინგზე ორიენტირებული პარტიული დაპირისპირების მთავარი ხაზი უახლესი წარსულის გამოყენებაზე გადის. ხოლო წარსულის ინტერპრეტაციები აყალიბებს საზოგადოების განწყობებს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი პოლიტიკური განხილვის მნიშვნელოვანი თემაა. რუსეთი საქართველოზე თავდასხმის ლეგიტიმაციისთვის ომის დაწყების პასუხისმგებლობას საქართველოს აკისრებს. ეს ნარატივი გაამყარა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემსწავლელი საერთაშორისო საგამოძიებო

კომისიის - ეგრეთ წოდებული ჰაიდი ტალიავინის კომისიის - დასკვნამ, რომელიც 2009 წლის 30 სექტემბერს გამოქვეყნდა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და, რომლის მიხედვით, ომის გაჩაღებაზე თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც საქართველოს, ისე რუსეთს, ღია საომარი მოქმედებები კი ქართული მხარის მიერ ცხინვალის დაბომბვით დაიწყო.[1] ამ ჩანაწერმა მაშინვე დიდი კამათი გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად, საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკა, რომლის ნაწილიცაა მეხსიერების პოლიტიკა, რუსეთთან დათბობის ნარატივს ეფუძნება. ხშირ შემთხვევაში უმაღლესი რანგის პოლიტიკოსები გაურბიან და არ მოიხსენიებენ რუსეთს მტრად, არ აკონკრეტებენ და ხაზგასმით არ ამბობენ, რომ ვლადიმერ პუტინის რუსეთმა განახორციელა საქართველოს ოკუპაცია. ეს ვლინდება უკრაინის ომთან დამოკიდებულებაშიც, სადაც მებრძოლი ქართველების მონაწილეობას კანონგარეშე და არასახელმწიფოებრივ ქმედებად აცხადებენ, უარყოფენ და ერიდებიან უკრაინაში რუსეთის შეჭრასა და 2008 წლის აგვისტოს ომს შორის კავშირის ხაზგასმას. ამტკიცებენ, რომ ეს მსჯელობა წამგებიანია და საქართველოს რუსეთთან ომში ჩათრევას ემსახურება.

სკოლის სახელმძღვანელო მეხსიერების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. მას კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირებაზე უდიდესი გავლენა აქვს, როგორც მასტერ-ნარატივის მნიშვნელოვან ამსახველს. სკოლის სახელმძღვანელოები განათლების სამინისტროს შესაბამის ინსტანციებს გადის და გრიფის მინიჭების შემთხვევაში ხვდება მოსწავლეთა მერხებზე. ამდენად, სასკოლო სახელმძღვანელო, საყოველთაო განათლების პირობებში, ქვეყნის ყველა მოქალაქის ხელში ხვდება.

2008 წლის აგვისტოს ომის რეპრეზენტაციის წარმოსადგენად შევარჩიეთ სხვადასხვა პერიოდში გამოცემული სახელმძღვანელო-

[1]მჭედლიშვილი, ნ. ტალიავინის კომისიის დასკვნა ქართულად. https://www.radiotavisupleba.ge/a/taliavinis-komisiis-daskvna/25212133.html

ები, რათა თვალი მივადევნოთ, იცვლება თუ არა ნარატივი ხელისუფლების ცვილებასთან ერთად, რა პერიოდში რაზე კეთდება აქცენტი და რა ცოდნას აძლევს მოსწავლეს.

რატომ შევარჩიეთ განხილვისათვის 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელიც ჯერ ცალსახად ისტორიის საკუთრება არ არის და თანამედროვე საქართველოს მიმდინარე პოლიტიკური რეალობის ნაწილია? პირველ რიგში, უნდა აღნიშნოს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოთხრობილი საქართველოს ისტორია, ძირითადად, ომების ისტორიაა. მთლიანობაში, ეს არის ამბავი ერთ პატარა ქვეყანაზე, რომელსაც გარშემო მუდმივად მტერი ესევა. იგი იბრძვის მარტო და ეს ბრძოლა გადარჩენისა და თავისუფლებისთვის ბრძოლაა. ომზე თხრობა, როგორი ნეიტრალური და შერბილებულიც არ უნდა იყოს, გარდა პატრიოტიზმის განცდისა, ყველა შემთხვევაში უწყობს ხელს მტრის ხატის ჩამოყალიბებას. ძველი, ადრეული და შუა საუკუნეების პერიოდის ისტორია სავსეა ეროვნული ნიშნით წარმოებული ომების ამბებით. თუმცა მე-20-ე საუკუნეში ასეთი ომები ნაკლებია. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის საქართველოს ისტორიაში ეროვნულ ნიადაგზე წარმოებული ომი მოხდა 1921 წელს, როდესაც წითელმა არმიამ მოახერხა საქართველოს ოკუპაცია, რასაც საქართვლოს გასაბჭოება მოყვა. მე-20 საუკუნის მიწურულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრება რუსეთთან ომის ფონზე მიმდინარეობს. 90-იანებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების წახალისებისა და აქტიური ჩარევების სახით დაწყებული რუსეთის აგრესია, 2008 წლის 7 აგვისტოს ღია ომში გადაიზარდა. რუსეთის ომს საქართველოში ასეულობით ადამიანის მსხვერპლი, ეთნიკური წმენდა, რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია და რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება მოჰყვა. რუსული საოკუპაციო ძალების ინტერვენციების შედეგად საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო და 14 პოლიციელი დაიღუ-

პა. საკუთარი საცხოვრებელი 150 ათასმა ადამიანმა დატოვა, საიდანაც ბევრი კვლავ დევნილობაში რჩება. 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოში დაწყებული ომი ყოველდღიურად გრძელდება მცოცავი ოკუპაციით, საქართველოს მოქალაქეების გატაცებითა და მკვლელობით.

ერთმანეთს შევადარეთ ხელისუფლებაში ორი სხვადასხვა პოლიტიკური ძალის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ - ყოფნის პირობებში გამოცემული სახელმძღვანელოები, რათა თვალი მიგვედევნებინა, რამდენად აისახა მათში პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილება.

აგვისტოს ომის შესახებ თხრობა პირველად 2012 წელს გრიფირებულ სახელმძღვანელოებში ჩნდება (მანამდე გამოცემული სახელმძღვანელო 2009 წლით თარიღდება და, ბუნებრივია, აგვისტოს ომის ასახვა მასში ვერ მოესწრებოდა). 2012 წელს გრიფირებული წიგნები ომის დროს ხელსუფლების მყოფი პოლიტიკური ძალის პირობებში შეიქმნა.

გამომცემლობა „კლიოს“ მიერ გამოცემული მე-8 კლასის სახელმძღვანელოში „ისტორია“ აგვისტოს ომზე თხრობა მოცემულია გაკვეთილში სათაურით „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი.“ მთავარი კითხვა: რა მიზანს ისახავდა რუსეთი საქართვლოსთან ომში?[2]

გაკვეთილი მოცულობითია, მდიდარია ვიზუალური მასალითა და წყაროებით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია სწორედ წყაროები. ვფიქრობ, ისტორიის სწავლებისას, მით უფრო 2008 წლის აგვისტოს ომის მსგვასი მტკივნეული თემების განხილვისას, წყაროებს ყველაზე მეტი ადგილი უნდა დაეთმოს, რათა მოსწავლეს მიეცეს საშუალება თავად გამოიტანოს დასკვნები. მოცემული წყაროები არის ამონარიდები ომის შედეგ რუსეთის პრეზიდენტ მედვედევისა და ვლადიმერ პუტინის ინტერვიუებიდან, სადაც ისინი ღი-

[2] მეძმარიაშვილი, ე. პაპასქირი, თ. და სხვ., ისტორია 8, კლიო, 2012, გვ. 216.

ად საუბრობენ 2008 წლის ომის დაგეგმვისა და წინასწარ მომზადების შესახებ. ომის დაწყების თარიღი - 7 აგვისტო - და ამის მტკიცებულებები მოცემული. ეს აიხსნება იმით, რომ ეს მტკიცებულებები მოგვიანებით შეგროვდა. თუმცა თხრობის შინაარსისა და წყაროების მნიშვნელობის, რაოდენობისა და სიზუსტის საფუძველზე, მოსწავლე მკაფიო დასკვნას გააკეთებს, რომ ომი რუსეთმა დაიწყო.

უახლესი სახელმძღვანელო, რომელიც გრიფირებულია 2021 წელს (ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ ყოფნის პირობებში), არის მე-9 კლასის „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია“, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“. წიგნი იყოფა სამ თემად. მესამე თემა არის საქართველო და თანამედროვე მსოფლიო, სადაც აგვისტოს ომი არის ქვეთავი თავისა „რატომ ირჩევს საქართველო დასავლურ კურსს?“[3] გაკვეთილების ამ ფორმით დალაგება გამიზნულია, რომ მოსწავლემ შეძლოს გლობალური მოვლენების განვითარების ფონზე საქართველოში მიმდინარე მოვლენების ანალიზი; მოძებნოს კავშირი საერთაშორისო დონეზე მიმდინარე მოვლენებსა და ლოკალურ პრობლემებს შორის. 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ თხრობის წინ, ავტორები საუბრობენ საქართველოს დასავლურ ორიენტაციაზე, საქართველოში აშშ პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ, ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავებისა და დაახლოების თაობაზე. 2008 წლის ომის შესახებ თხრობა იწყება კოსოვოს აღიარებასთან დაკავშირებული ამბების გახსენებით; ხაზგასმულია, რომ ამ ფაქტმა რუსეთი გააღიზიანია, ხოლო 2008 წლის 3 აპრილს ბუქარესტის სამიტზე ნატოს მხრიდან კიდევ ერთხელ ღია განცხადებამ საქართველოსა და უკრაინის ნატოს წევრად გახდომის შესსახებ, რუსეთის ფედერაცია კიდევ უფრო გააღიზიანა. თხრობა ამით წყდება. შეიძლება კითხვის დასმა, ხომ არ იქმნება შთაბეჭდილება, რომ თუ არა დასავლეთთან ინტეგრაციის გაღრმავება, ომი არ იქნებოდა? ხომ არ ქმნის სახელმძღვანელოში თხრობის ეს ფორმა ნია-

[3] სურგულაძე, მზია და სხვები. „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია 9“, ლოგოს პრესი, თბილისი, 2021. გვ. 173

დაგს იმ ნარატივისთვის, რომელსაც პრორუსული პოლიტიკური ძალა საქართველოში ისედაც ავითარებს და აცხადებს, რომ საჭიროა რუსეთთან არგაღიზიანების და დათმობის პოლიტიკის წარმოება, რომ მთავარია ნებისმიერი საშუალებით ომის თავიდან აცილება?

იმავე გვერდზე მოცემულია ცნობა N 5 სათაურით „რუსეთის მზადება საქართველოს წინააღმდეგ აგრესიისთვის 2008 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში“, სადაც ჩამოწერილია რუსეთის ქმედებები. თუმცა ჩამონათვალი სრულდება 15 ივლისს რუსეთის მიერ სამხედრო სწავლება „კავკაზ 2008“ დაწყებით. თხრობა გრძელდება უშუალეოდ აგვისტოს მოვლენებით:

„2008 წლის ზაფხულში ცხინვალის რეგიონში მდგომარეობა დაიძაბა. დაიწყო საარტილერიო სროლები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული სოფლების მიმართულებით, რაც ფართომასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 7 აგვისტოს რუსეთმა, კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსი სამშვიდობოებისა და ცხინვალის მოსახლეობის დაცვის მოტივით, როკის გვირაბის გავლით რეგიონში მრავალათასიანი ჯარი და სამხედრო ტექნიკა შეიყვანა და 8 აგვისტოს საბრძოლო მოქმედებები დაიწყო...“[4]

ამის შემდგომ ძირითადი აქცენტი გადატანილია ომის შემდგომ დასავლეთის მხარდაჭერაზე, საერთაშორისო სასამართლოებზე და ა. შ. ჩნდება, ვფიქრობ, რელევანტური კითხვა: რატომ არ არის მკაფიოდ დაზუსტებული და ხაზგასმული ომის დაწყების თარიღი? დასრულების შესახებ მკაფიოდ წერია, რომ ეს 12 აგვისტოს მოხდა, ხოლო ომი როდის იწყება, არ არის დაზუსტებული. ბუნდოვანი თხრობის საფუძველზეც მოსწავლე დაიმახსოვრებს, რომ ომი დაიწყო 8 აგვისტოს. ეს კი პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხია იმის გასარკვევად, თუ ვინ დაიწყო ომი!

[4] სურგულაძე, მზია და სხვები. „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია 9“, ლოგოს პრესი, თბილისი, 2021. გვ. 179

იგივე ტექსტი გვხვდება ასევე 2021 წელს გრიფირებულ მეორე სახელმღვანელოში „ისტორია, მე-9 კლასი," დიოგენე: „2003 წლის შემდეგ საქართველოს სწრაფვა ევროპისა და ნატოსკენ მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც მოჰყვა რუსეთის მცდელობა, ხელი შეეშალა ამ პროცესისთვის, რაც უშედეგო გამოდგა და ერთადერთ საშუალებად საქართველოს სამხედრო კონფლიქტში იმგვარად ჩართვა დარჩა, რომ აგრესორი საქართველო გამოსულიყო... 2008 წლის ივნის-ივლისში მკვეთრად მოიმატა შეიარაღებულმა პროვოკაციებმა ცხინვალის რეგიონში. ქართული სოფლებისთვის ცეცხლის გახსნა, გზების დანაღმვა, მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება ყოველდღიურ მოვლენად იქცა. 2008 წლის 6-7 აგვისტოს ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცხინვალის მიმდებარე ქართულ სოფლებს ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს. საქართველოს პრეზიდენტმა ადგილობრივი მოსახლეობის დასაცავად ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული ძალების შეყვანის ბრძანება გასცა, რასაც რუსეთის ფედერაციამ პირდაპირი სამხედრო აგრესიით უპასუხა. 2008 წლის 8-10 აგვისტოს რუსეთმა „სამხრეთ ოსეთსა" და აფხაზეთში ათასობით ერთეული სამხედრო ტექნიკა და ათიათასობით სამხედრო ძალა შემოიყვანა."[5] ამ თხრობითაც ბუნდოვანი რჩება ომის დაწყების თარიღი. მოსწავლე კი დაიხსომებს, რომ 7 აგვისტოს რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე არ იყო და ის აქ მხოლოდ 8 აგვისტოს, ქართველების მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყების გამო შემოვიდა. ეს ნარატივი მისაღებია რუსული პოლიტიკისთვის და ასევე, შიდა პოლიტიკური თვასაზრისით, იმ პოლიტიკოსებისთვის, რომელიც ამტკიცებენ, რომ 2008 წლის ომი საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ დაიწყო, ან ვერ აიცილა თავიდან.

გარდა გაბმული თხრობისა, მნიშვნელოვანია ჩანართები და ვიზუალური მასალა. ამ მხრივ 2021 წლის გამოცემებში ინფორმაცია მწირია და შემოიფარგლება ომის რუკით და ქალაქ გორში და-

[5] ახმეტელი, ნ. „ისტორია, 9". *დიოგენე, თბილისი, 2020, გვ. 404*

ბომბილი სახლის ფოტოთი. ხოლო ჩანართების სახით წყაროები საერთოდ არ არის მოცემული.

და ბოლოს, გავაანალიზეთ 2018 წელს მომზადებული სასკოლო სახელმძღვანელო „თავდაცვა და უსაფრთხოება“ და სწავლების სტანდარტი, რომელსაც იგი დაეფუძნა. ეს იყო საქართველოს განათლების სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტი. საგნის მიზნებზე და შინაარსზე საუბრისას, სამოქალაქო განათლების ექსპერტი შალვა მეკრავიშვილი 2008 წლის აგვისტოს ომის მნიშვნელობას უსვამს ხაზს და აცხადებს, რომ სხვადასხვა ვარიანტი განიხილებოდა, მათ შორის, პირველი ან მეორე მსოფლიო ომები, მაგრამ ამ საკითხს დროის დისტანციის პრინციპით მიუდგნენ[6]. აღნიშნულ ომებს დრევანდელობა დროით ძალიან დაშორებულია, ხოლო პედაგოგიკაში არის პრინციპი, რომ საგანი რაც შეიძლება ახლოს იყოს რეალურ ცხოვრებასთან, ამიტომ არჩევანი შეჩერდა ახლო პერიოდში მომხდარი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე, რადგან 2008 წლის ომის თემის ფარგლებში, გაცილებით ეფექტურია ისეთ საკითხებზე მსჯელობა, როგორიცაა: რატომ ესწრაფვის საქართველო ნატოში ინტეგრაციას? როგორ აისახება ეს სწრაფვა ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაზე? რატომ არის ოკუპირებული ტერიტორიები გამოწვევა საერთაშორისო უსაფრთხოებისთვისაც და საქართველოს უსაფრთხოებისთვისაც? რატომ აწყობენ დივერსიებს? როგორ ფუნქციონირებს საქართველოს თავდაცვის სისტემა? რატომ დაიწყო რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი? რატომ ჩაება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში საერთაშორისო ორგანიზაციები და როგორ ფუქნციონირებს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა? რა საშუალებებით შეუძლია ევროსაბჭოს და გაეროს საერთაშორისო კონფლიქტებზე ზეგავლე-

[6] ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეები აგვისტოს ომის გმირის ისტორიას შეისწავლიან https://1tv.ge/news/lllakhali-saswavlo-wlidan-moswavleebi-agvistos-omis-gmirebis-istoriebs-sheiswavlian/?fb_comment_id=2331366000223196_4779231345436637

ნის მოხდენა? ამის გარდა, საგნის სტანდარტით გათვალისწინებული იყო მოსწავლეთათვის მისაცემი დავალებები:

- სპეციალური რეპორტაჟის მომზადება 2008 წლის ომის 5 დღის შესახებ,
- 2008 წლის ომში მონაწილე ჯარისკაცის დღიური;
- პრეზენტაციის მომზადება 2008 წლის ომის გმირების შესახებ;
- პრეზენტაცია მომზადება საქართველო კიბერგამოწვევების წინაშე;
- თემის/ესსეს მომზადება 2008 წლის ომის შედეგების შესახებ;
- მხატვრული ფილმის - „აგვისტოს 5 დღე“ განხილვა;
- „როლური თამაში“ სამიტის შესახებ, სადაც 2008 წლის ომის განიხილება;
- დებატები თემაზე - ოკუპირებული ტერიტორიები საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის;
- იმიტირებული სასამართლო - „ომის გასამართლება“.

შალვა მეკრავიშვილის აზრით, ეს არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, შეიძლება ძალიან ბევრისთვის აღმოჩნდეს საინტერესო, თუნდაც, მსგავსი დავალებების თვალსაზრისით.[7]

სახელმძღვანელო შეიქმნა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საგნის სტანდარტი, როგორც დოკუმენტი, გაცილებით კონცეტრირებულია 2008 წლის ომზე, ვიდრე თავად სახელმძღვაენლო. სტანდარტით გაწერილი მიზნები უფრო დიდ მოლოდინს ქმნის, რომ სახელმძღვანელოში 2008 წლის ომის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე იქნებოდა გაანალიზებული საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები. სახელძღვანელო კი უფრო ზოგადთეორიულ

[7] ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეები აგვისტოს ომის გმირის ისტორიას შეისწავლიან https://1tv.ge/news/lllakhali-saswavlo-wlidan-moswavleebi-agvistos-omis-gmirebis-istoriebs-sheiswavlian/?fb_comment_id=2331366000223196_4779231345436637

ცოდნაზეა ორიენტირებული, ვიდრე კონკრეტული ომის გაანალიზების საშუალებით ამ ცოდნის შექმნაზე. გარდა ამისა სტანდარტით გამიზნული კონცენტრიერება 2008 წლეზე არ ჩანს მკაფიოდ:

- სარჩევში და შესავალში არ არის ნახსენები 2008 წლის აგვისტოს ომი
- ომი პირველად ნახსენებია მესამე თავში საქართველოს საფრთხეების ზოგად კონტექსტში; თხრობა მშრალი და ზედაპირულია; არ არის ნახსენებ წინაპირობები, დაწყებისა და დასრულების თარიღები; თუმცა ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოებრიობის მთავარი საფრთხე რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციაა. რუსეთის სამხედრო აგრესიის საბოლოო მიზანი კი საქართველოს პროდასავლური კურსის შეცვლა და ქვეყნის რუსულ ორბიტაზე დაბრუნებაა.
- ვიზუალური მასალა მწირია და შემოიფარგლება ორი ფოტოთი: დაბომბილი გორი და მავთულხლართები, რომლებსაც არ აქვს წარწერა და მინიშნება, რაც გაუგებარს ხდის მის შინაარს.
- სტანდარტით გათვალისწინებული დავალებები მნიშვნელოვნად შემცირებულია, მათ შორის არ არის პრინციპულად მნიშვნელოვანი დავალება ომის „გასამართლების“ შესახებ.[8]

ვფიქრობ, სახელმძღვანელო სტანდარტით გათვალისწინებულ მიზნებს აცდა. მასში გაცილებით მეტი და სიღრმისეული ინფორმაციებია მოცემული შორეულ წარსულში მომხდარი მოვლენების შესახებ, ვიდრე 2008 წლის ომზე. ეს სახელმძღვანელო მკაფიოდ თავსდება ქართული ოცნების პოლიტიკის ჩარჩოში, რომელიც რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკას მისდევს საგრეო მიმართულებით, ხოლო საარჩევნო მარათონისთვის შიდაპოლიტიკურ ველზე ისტორიის ინსტრუმენტალიზაციას მიმართვას. სკოლის სახელმძღვაენელოებისა და საჯარო დისკურსის ანალიზი და შედარება გვაჩვენებს, რომ თნამედროევ საქართველოში არ არსე-

[8] ტალახაძე, ნ, (რედ.) „თავდაცვა და უსაფრთხოება, X კლასი.“ *თბილისი, 2020, გვ.12*

ბობს სახელმწიფოს მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დაგეგ-მილი მეხსიერების პოლიტიკა, ახლო წარსულის ერთიანი ხედვა, რომელიც კონსიტუტციით გათვალისწინებული საქართველოს და-სავლური საგარეო კურსის ნარატივითაა ნაკარნახევი.

რუსეთის მიერ უკრაინაში ჯერ 2014 წელს, ხოლო შემდეგ 2022 წელს დაწყებულმა ომმა 2008 წლის აგვისტოს ომს ახალი მნიშვნე-ლობა მიანიჭა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორი-სო მასშტაბითაც. მეთიუ ბრაიზა, რომელიც 2008 წელს ის აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე და ვაშინგტონის წამყვანი დიპლომატი იყო კავკასიის საკითხებში, უკვე 2019 წელს ქართულ ჟურნალთან ინტერვიუში აცხადებს: „კითხვები აღარ უნდა იყოს. ნათელია, რომ ომი რუსეთმა დაიწყო. წლების განმავლობაში რუ-სეთი დგამდა ნაბიჯებს, როგორებიცაა პასპორტიზაცია, ქართული დრონების ჩამოგდება, წარსული საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევა და სარკინიგზო მილიტარიზება. რუსეთი ემზადებოდა ომისთვის. თუმცა ის წარმატებულად აკონტროლებდა ნარატივს.“[9] 2022 წელს „რადიო თავისუფლებასტან“ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ე.წ. ტალიავინის დასკვნა, „უბრალოდ, სამარცხვინო იყო. მათ დაწერეს, რომ პირველად საქართველომ ისროლა, ეს ასე არაა - პირველად ოსებმა ისროლეს რუსული არტილერიით, და საქართვე-ლომ ამას უპასუხა. საქართველოს არ დაუწყია ეს ომი, საქართვე-ლომ [თავდასხმას] უპასუხა, როგორც ევალება ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიულად არჩეულ ლიდერს.“[10] 2023 წელს უკრაინაში რუ-სეთის შეჭრისა და ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, ცი-ვილიზებულმა მსოფლიომ აღიარა - კრემლს მეზობელ ქვეყნებში შეჭრისათვის მიზეზი არ სჭირდება; **„უკრაინის მსგავსად, საქართ-ველოს ხალხი დაზარალდა რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სა-**

[9] ინტერვიუ მეთიუ ბრაიზასთან. https://civil.ge/ka/archives/316529

[10] თავბერიძე, ვ.“რუკა თან გქონდათ, როდესაც ამას დაეთანხმეთ?” - მეთიუ ბრაიზა აგვისტოს ომს და რუსეთ-უკრაინის კრიზისს ადარებს. https://tinyurl.com/48e9mvz9

მართლის დარღვევისა და მეზობლებზე დომინირებისკენ მისი სწრაფვის გამო“, ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის სახელით 2023 წლის 7 აგვისტოს გამოქვეყნებულ განცხადებაში, რომელიც აგვისტოს ომის დაწყების მე-15 წლისთავს ეძღვნებოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები მკაფიოდ ასახავს პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებას. ვფქირობ, სახელმძღვანელოებში უნდა აისახოს როგორც 2008 წლის აგვისტოს ომი, ასევე ის ფაქტი, რომ რუსეთის აგრესია დაიწყო 2008 წელს საქართველოში. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ იმის დანახვა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი არა მხოლოდ საქართველოს ლოკალური პრობლემა, არამედ მსოფლიოს წინაშე არსებული გამოწვევის - რუსული აგრესიის - ნაწილია. გარდა ამისა, სკოლის სახელმძღვანელოები მაქსიმალურად უნდა გათავისუფლდეს პარტიულ-პოლიტიკური დაპირისპირებების გავლენისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახმეტელი, ნ. და სხვები „ისტორია, 9“. *დიოგენე, თბილისი, 2020.*

მეძმარიაშვილი, და სხვები. „ისტორია 8." კლიო, თბილისი, 2012.

სურგულაძე, მზია და სხვები. „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია 9.“ ლოგოს პრესი, თბილისი, 2021.

ტალახაძე, ნ, (რედ.) „თავდაცვა და უსაფრთხოება, X კლასი.“ *თბილისი, 2020.*

ელექტრონული რესურსები:

მჭედლიშვილი, ნ. ტალიავინის კომისიის დასკვნა ქართულად. https://www.radiotavisupleba.ge/a/taliavinis-komisiis-daskvna/25212133.html

ინტერვიუ მეთიუ ბრაიზასთან. https://civil.ge/ka/archives/316529

თავბერიძე, ვ,“რუკა თან გქონდათ, როდესაც ამას დაეთანხმეთ?” - მეთიუ ბრაიზა აგვისტოს ომს და რუსეთ-უკრაინის კრიზისს ადარებს. https://tinyurl.com/48e9mvz9

ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეები აგვისტოს ომის გმირის ისტორიას შეისწავლიან https://1tv.ge/news/lllakhali-saswavlo-wlidan-moswavleebi-agvistos-omis-gmirebis-istoriebs-sheiswavlian/?fb_comment_id=2331366000223196_4779231345436637

საოკუპაციო რეჟიმის მიერ მოკლულ თამაზ გინტურს დღეს დაკრძალავენ https://www.radiotavisupleba.ge/a/32680467.html

Ivane Tsereteli

How the Past is Taught: The August 2008 War in School Textbooks

Abstract

Manipulation of the past and the instrumentalization of history are common practices in contemporary Georgian political life. In many cases, the main line of internal political and election-related, rating-driven party confrontations revolves around the use of recent history. Interpretations of the past shape societal attitudes. The 2008 Russia-Georgia war is a significant topic in political discussions. Russia attributes responsibility for starting the war to Georgia to legitimize its attack. School textbooks are a crucial part of memory politics, exerting significant influence on the construction of collective memory as a key reflection of the master narrative. School textbooks are vetted by relevant bodies of the Ministry of Education and, upon approval, reach students' desks. Thus, in the context of universal education, school textbooks reach the hands of every citizen. The aim of this study is to demonstrate how the 2008 August war is taught in schools. What facts, events, and details are emphasized, what purpose does the narrative serve, and how are its substantive and visual aspects presented?

Keywords: Russia-Georgia war, narrative, collective memory, instrumentalization of history